სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის
სახელმწიფო უნივერსიტეტი

28 ნოემბერი, 2025 წელი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01-02/212

ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის **„ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო** საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **თამილა ქარცივაძის სადისერტაციო ნაშრომის საჯარო დაცვის** თარიღის დანიშვნისა და **დარგობრივი სადისერტაციო კომისიის შექმნის შესახებ**

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის, ბსუ-ს წესდების მე-13 მუხლის, ,,დოქტორანტურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2024 წლის 27 დეკემბრის №06-01/129 დადგენილების, ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 13 თებერვლის N06-01/16 დადგენილებით დამტკიცებული „ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს დებულების“, ,,2022-2023 სასწავლო წლის შემოდგომის სემესტრიდან ბსუ-ს სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამებზე ჩარიცხვის შესახებ“ ბსუ-ს რექტორის 2020 წლის 19 სექტემბრის №01-08/722 ბრძანების, „ბსუ-ს ზოგიერთი დოქტორანტისათვის სწავლის ვადის გაგრძელების შესახებ“ ბსუ-ს აკადემიური საბჭოს 2025 წლის 16 ივლისის №06-01/61 დადგენილების, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს გადაწყვეტილების (ოქმი №21-20/11, 21.11.2025) და ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარის სამსახურებრივი ბარათის (MES 7 25 0001689948, 27/11/2025) საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის „ბიზნესის ადმინისტრირების“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის დოქტორანტ **თამილა ქარცივაძის** სადისერტაციო ნაშრომის „სოციალური მედია მარკეტინგის გამოწვევები ქართულ ბიზნესში“ **საჯარო დაცვა** დაინიშნოს 2025 წლის **19 დეკემბერს,** 14:00 საათზე, 423-ე აუდიტორიაში (ქ. ბათუმი, ნინოშვილის/რუსთაველის ქ. №35/32, კორპუსი N2, მე-4 სართული).

2. დამტკიცდეს ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს მიერ შექმნილი **„ბიზნესის ადმინისტრირების“** დარგობრივი **სადისერტაციო კომისია** შემდეგი შემადგენლობით:

2.1. ბადრი გეჩბაია - ბსუ-ს პროფესორი **(კომისიის თავმჯდომარე);**
2.2. ნათელა წიკლაშვილი - ბსუ-ს პროფესორი;
2.3. ასიე ცინცაძე - ბსუ-ს პროფესორი;
2.4. გელა მამულაძე - ბსუ-ს პროფესორი;
2.5. დავით ქათამაძე – ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.6. რამინ ცინარიძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.7. ეკატერინე ბახტაძე - ბსუ-ს ასოცირებული პროფესორი;
2.8. ირინა ბერიძე - ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი.
2.9. ნინო მამულაძე - ბსუ-ს ასისტენტ-პროფესორი, ბიზნესის ადმინისტრირების დოქტორი **(მდივანი)**;

3. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის <u>დეკანის ოფისმა</u> უზრუნველყოს წინამდებარე ბრძანების დოქტორანტისათვის გაგზავნა და მის პირად საქმეში განთავსება.
4. ბსუ-ს ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის <u>სადისერტაციო საბჭოს მდივანმა</u> უზრუნველყოს დოქტორანტისა და შესაბამისი სადისერტაციო კომისიის წევრების ინფორმირება, საჯარო დაცვის თარიღისა და განსახორციელებელი ღონისძიებების შესახებ.
5. ბრძანება განთავსდეს ბსუ-ს ვებგვერდზე.
6. ბრძანება დაეგზავნოს რექტორის მოადგილეს სასწავლო და სამეცნიერო მიმართულებით (გ. ქათამაძე), ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სამეცნიერო კვლევების სამსახურს, ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტს, სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარეს (პროფესორი რ. მანველიძე) და საბჭოს მდივანს (ლ. ცეცხლაძე), საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს.
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილ ვადაში და წესით ბათუმის საქალაქო სასამართლოში (ქ. ბათუმი, ს. ზუბალაშვილის ქ. 30).

ბსუ-ს რექტორი **ტიტე არაშიძე**